



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



წერილის ნომერი: 31-31210423
თარიღი: 11/02/2021

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბესიკ ტაბიძეს მოხსენებითი ბარათი

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ 2021 წლის 8 თებერვალს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომის ოქმი: N2 - 3 (სამი) ფურცელი;

დასკვნა: N2 -1 (ერთი) ფურცელი;

სარეგისტრაციო - 1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №2

ქ. ლანჩხუთი

08.02.2021.

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: ციციშვილი ჩხაიძე, გიორგი ჩხავაძე, აკაკი იმნაიშვილი და დავით ჩხარტიშვილი.

მოწვეული პირი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/ მომხსენებელი ალექსანდრე მახათაძე/

2. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-6, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მისი განმარტებით საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოეყო 2685681 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსებაზე უნდა მიიმართოს 141406 ლარი, სულ ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება განისაზღვრა 2827087 ლარი აქედან: ღრმაღელე-ორმეთი-გზის რეაბილიტაციაზე 1612148 ლარი მ.შ. ადგილობრივი ბიუჯეტით 84850 ლარი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია 211028 ლარი მ.შ ადგილობრივი ბიუჯეტით 11160 ლარი და ქალაქ ლანჩხუთში საფეხმავლო ბილიკების, გარე განათების და მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიანი შენობების ფასადების რეაბილიტაციაზე 862505 ლარი მ.შ ადგილობრივი ბიუჯეტით 45396 ლარი. პროექტების განხორციელებაზე თანადაფინანსებით მიმართული 141406 ლარის უზრუნველყოფა განხორციელდეს 2021 წლის 01 იანვრისათვის ბიუჯეტში არსებული თავისუფალი ნაშთის ხარჯზე. ამასთან ღრმაღელე-ორმეთის გზის რეაბილიტაციაზე

ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთიდან უნდა მიიმართოს 2020 წელში დაკავებული (5%) 9999 ლარი, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციაზე მიიმართოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის ნაშთიდან 10585 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაკავებული (5%) 54314,88 ლარი, ქალაქ ლანჩხუთში საფეხმავლო ბილიკების, გარე განათებისა და მრავალბინიანი შენობების ფასადების რეაბილიტაციაზე ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთიდან მიიმართოს (5%) 32023,59 ლარი. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 თებერვლის N325 განკარგულებით გამოყოფილი თანხიას ნაშთი 1197324,42 ლარი უნდა მიიმართოს სტყიქიის შედეგად დაზიანებული გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 912399,5 ლარი, აქედან ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულში 95002,49 ლარი, სოფელ ჩოჩხათისა და გულიანში 85826,98 ლარი, ქ.ლანჩხუთის, მაჩხვარეთის და აცანის ადმინისტრაციულ ერთეულებში 119460,12 ლარი, სუფსისა და ღრმაღელის ტერიტორიულ ერთეულში 131887,90 ლარი. სოფელ მოედანში, წიაღობნისა და კოკათში 137999,01 ლარი, აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში 77393,11 ლარი, ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში 264829,89 ლარი და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N210 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოებზე მიიმართოს 231852,43 ლარი. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებით გამოყოფილ თანხებიდან (ცვლილებების გათვალისწინებით) 260647,67 ლარი, მ.შ ადგილობრივი ბიუჯეტის 46064 ლარი უნდა მიიმართოს გვიმბალაურის, ღრმაღელის, სუფსის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 09 იანვრის N27 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთი 222228,8 ლარი მიიმართება სოფელ ჯიხანჯირის სკოლის და ახალსოფლის სკოლის ჭაბურღილების მოწყობის სამუშაოებზე. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის N2630 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთიდან 10417,38 ლარი მათ.შორის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე 6654,23 ლარი მიიმართება ქ.ლანჩხუთში გორგასლის ქუჩის მიმდებარედ მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოებზე. ადგილობრივი ბიუჯეტის თანხის ნაშთიდან 39203 ლარი მიიმართება ქ.ლანჩხუთში გვარჯალაძის ქუჩაზე სკვერის მოწყობაზე 23994 ლარი და ლანჩხუთში მემორიალის მოწყობაზე 15209 ლარი. საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ „საქართველოს კანონის“ საფუძველზე გადამუშავებული ფისკალური პროგნოზების შესაბამისად 2021 წლის ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი მუნიციპალიტეტს განესაზღვრა 1300.0 ათასი ლარით, ბიუჯეტით გათვალისწინებულზე 200.0 ათასი ლარით ნაკლები, დამტკიცებულ ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით 200.0 ათასი ლარით გაიზარდოს 2021 წლის ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის ხარჯებზე მიმართვა და განისაზღვროს 1711.0 ათასი ლარით.

კომისიის წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-6, წინააღმდეგი-არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი: 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21

დადგენილებაში ცვლილების შეტანის საშუალებით ღარიბაშვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ამით კომისიის სხდომაზე მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე:



ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №2

2021 წლის 08 თებერვალს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომაზე განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება:

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

დასკვნა:

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

საფინანსო-საბიუჯეტო


კომისიის თავმჯდომარე:



ალექსანდრე ჩიხობავაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

08.02.2021 წელი
11:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	11:00	
2	ციცილა ჩხაიძე	10:25	
3	გიორგი ჩახვაძე	10:55	გ. ჩახვაძე
4	დავით ჩხარტიშვილი	10:45	
5	ამირან გიგინეიშვილი	—	მ. გიგინეიშვილი
6	იოსებ ჩხაიძე	—	მ. გიგინეიშვილი
7	აკაკი იმნაიშვილი	10:58	აკაკი იმნაიშვილი
8	ზურაბ კუკულაძე	—	მ. გიგინეიშვილი